

შპს „სენა მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შპს „სენა მოტორსის“ (ს/ნ 205222926)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „სენა მოტორსის“ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ
2. შესრულებაზე;
3. ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც, უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
4. ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
5. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
6. *ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
7. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
8. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
9. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
10. თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2023 წლის 1 აგვისტოს.

შპს „სენა მოტორსის“

დირექტორი: / გია ალიხანაშვილი/

2023 წ. 30 აგვისტო

თბილისი, საქართველო



შპს „სენა მატორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	2022	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,719,891	1,810,716	1,866,013
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	45,120	46,309	37,440
სხვა არამატერიალური აქტივები	16,806	15,832	17,382
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	-	-	-
	<u>1,781,818</u>	<u>1,872,858</u>	<u>1,920,835</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2,589,255	2,138,907	1,450,347
საავტრო მოთხოვნები	1,079,272	901,027	655,354
სხვა მიმდინარე აქტივები	65,854	18,629	361,169
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	198,383	85,069	91,087
	<u>3,932,765</u>	<u>3,143,632</u>	<u>2,557,957</u>
სულ აქტივები	<u>5,714,583</u>	<u>5,016,490</u>	<u>4,478,792</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	2,256,900	2,256,900	2,256,900
გაუნაწილებელი მოგება	(340,987)	(964,866)	(1,075,449)
	<u>1,915,913</u>	<u>1,292,034</u>	<u>1,181,451</u>
არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>1,915,913</u>	<u>1,292,034</u>	<u>1,181,451</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	1,548,758	2,989,219	2,678,097
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>1,548,758</u>	<u>2,989,219</u>	<u>2,678,097</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საავტრო და სხვა ვალდებულებები	2,232,543	678,323	610,311
მოკლევადიანი სესხები	-	9,060	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	17,369	47,854	8,933
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>2,249,912</u>	<u>735,237</u>	<u>619,244</u>
სულ ვალდებულებები	<u>3,798,670</u>	<u>3,724,456</u>	<u>3,297,341</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>5,714,583</u>	<u>5,016,490</u>	<u>4,478,792</u>

დირექტორი

გია ალიხანაშვილი



შპს „სენა მოტორსი“
ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შპს "სენა მოტორსი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
 (ლარებში)

	2022	2021
ამონაგები	5,721,842	4,209,471
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,171,767)	(3,006,581)
საერთო მოგება	1,550,074	1,202,890
სხვა შემოსავალი	463,392	233,481
კომერციული დანახარჯები	(60,998)	(30,618)
ადმინისტრაციული ხარჯები	(841,451)	(802,850)
სხვა ხარჯები	(68,810)	(33,039)
ფინანსური დანახარჯები	(407,993)	(277,137)
შეკავშირე საწარმოების მოგების წილი1		
მოგება დაბეგვრამდე	634,215	292,728
მოგების გადასახადი		-
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	634,215	292,728
საანგარიშგებო წლის ზარალი შეწყვეტილი საქმიანობიდან		-
საანგარიშგებო წლის მოგება	634,215	292,728

დირექტორი

გია ალიხანაშვილი



შპს „სენა მატორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,175,081	4,849,236
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,567,268)	(4,552,809)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	2,607,813	296,427
გადახდილი პროცენტები	(203,247)	(180,618)
გადახდილი გადასახადი	(1,070,737)	(781,950)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,333,829	(666,140)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შეიღობილი საწარმო X-ის შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(27,914)	(40,410)
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები	-	-
მიღებული პროცენტები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(27,914)	(40,410)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად(კაპიტალის შევსება)	-	-
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	2,258,209	1,817,010
კაპიტალის შემცირება	-	(10,000)
გადახდილი -გაცემული სესხი	(3,348,385)	(1,110,785)
გადახდილი დივიდენდები1(ა)	-	-
საკურსო სხვაობა	(102,425)	4,307
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,192,601)	700,531
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	113,314	(6,019)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	85,069	91,087
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	198,383	85,069

დირექტორი

გია ლიხანაშვილი



შპს „სენა მოტორსი“
ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შპს "სენა მოტორსი"

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წ. 31 დეკემბრ.	2,256,900	(1,075,449)	1,181,451	1,181,451
სააქციო კაპიტალის გამოშვება			-	-
დივიდენდები			-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		292,728	292,728	292,728
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		(182,145)	(182,145)	(182,145)
ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბრ.	2,256,900	(964,867)	1,292,033	1,292,033
სააქციო კაპიტალის გამოშვება			-	-
დივიდენდები			-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		634,215	634,215	634,215
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		(10,336)	(10,336)	(10,336)
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრ.	2,256,900	(340,988)	1,915,912	1,915,912

დირექტორი

გია ალიხანაშვილი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საჭმინაობა და ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობა მოიცავს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების გაყიდვას, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების სერვისს, ტექნომსახურებას.

2. შიდაგეგმის საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფაასს) შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ფუნქციონალურ და გამოსახვის ვალუტაში)/

2.2. მომზადების საფუძველი (გაბრძნობა)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით- ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიულ ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაბრძნობა)

ტრანსაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანსაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში

დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.4. მარაგები (ბაზრძმუბა)

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

2.5. ძირითადი საშუალებები (ბაზრძმუბა)

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადებული პროპორციულად უნდა გადაიხედოს.

ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მფლობელის მიერ დაკავებული ქონება, ფასდება თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ღირებულების გარდა, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გამოცვლის ან ძირითადი შემოწმების ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება ამ ხარჯების განევისას და, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ამ პუნქტთან დაკავშირებით მიემართება ორგანიზაციაში და შესაძლებელია პუნქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ამორტიზაცია გათვალისწინებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი კლასების აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდისთვის:

- ❖ შენობები: 20 წელი
- ❖ სატრანსპორტო საშუალებები: 5 წელი.
- ❖ ავეჯი და ინვენტარი: 5–დან 10 წლამდე.

შპს „სენა მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

❖ საიჯარო ქონების გაუმჯობესება: 5 წელი.

ამ აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პერსპექტიული შესწორება.

გაუფასურების განხილვა სრულდება, როდესაც არსებობს მაჩვენებლები, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ აღდგეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების პუნქტის აღიარების შეწყვეტა ხდება განკარგვის შემდეგ ან როდესაც არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა ან განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას (გამოითვლება როგორც სხვაობა განკარგვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივის აღიარების შეწყვეტის წელს.

ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2021 წლის 1 იანვარი	867,321	1,025,449	156,315	56,902	91,081	65,342	2,262,410
							-
შემოსვლა	-		28,203	5,842	6,365		40,410
გასვლა							-
გადაფასების რეზერვი							-
2021 წლის 31 დეკემბერი	867,321	1,025,449	184,517	62,745	97,446	65,342	2,302,820
შემოსვლა		12,324	3,883	3,701	318		20,225
გასვლა				(2,331)	(3,300)	(20,640)	(26,271)
2022 წლის 31 დეკემბერი	867,321	1,037,772	188,401	64,115	94,464	44,702	2,296,775
დაგროვილი ცვლა							
2021 წლის 1 იანვარი	-	175,885	99,226	35,184	54,462	32,363	397,120
წლის ცვლა	-	51,272	19,016	6,738	11,423	6,534	94,984

შპს „სენა მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

გასული აქტივის ცვეთა	-					-	
გადაფასების შედეგად ცვეთის ელიმინირება							
2021 წლის 31 დეკემბერი	-	227,158	118,243	41,922	65,884	38,897	492,104
წლის ცვეთა კლების შედეგად კორექტირება		51,889	22,390	6,341	9,977	4,776	95372
2022 წლის 31 დეკემბერი	-	279,046	140,632	48,128	74,782	34,295	576,884
საბალანსო დირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	867,321	798,291	66,275	20,823	31,562	26,445	1,810,716
2022 წლის 31 დეკემბერი	867,321	758,726	47,768	15,987	19,682	10,407	1,719,891

2.6. არამატერიალური აქტივები (ბაზრძელება)

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები	პროგრამები	უფლებები	სხვა	სულ
2021 წლის 1 იანვარი	0	0	22720	8475
შემოსვლა	0	0	0	0
გასვლა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	22720	22720
შემოსვლა	-	-	3430.42	3430.42
გასვლა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	26150.42	26150.42
დაგროვილი ცვეთა				
2021 წლის 1 იანვარი	0	0	4616	4616.06
წლის ცვეთა	-	-	2272	2272.03
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	6888.09	6888.09
წლის ცვეთა			2456.27	2,456
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	9344.36	9344.36
საბალანსო დირებულება				
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	15831.91	15832
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	16806	16806

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები (გაბრძნობა)

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ სანარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის; ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა მხარეზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ❖ სესხები და სხვა მოთხოვნები
- ❖ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავსირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის ფუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მირებას საწყისი პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოსვებასთან დაკავშირებული ტრანსაქციებით შემცირებული რეალური ღირებულებებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

2.8. კაპიტალი (ბაზრძელება)

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორცილედება კომპანიის პარტნიორის მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანსაქცია რომელიც დაკავშირებულია კომპანიასთან, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც ის გამოცხადდა.

2.9. მოგების გადასახადი (ბაზრძელება)

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთით განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების გადასახადის განაწილება და დარცება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად თუ განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანსაქციები არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებს და ვალდებულებებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.10. შემოსავლის აღიარება (ბაზრძელება)

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ❖ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ❖ საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ❖ გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ❖ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ❖ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე განეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

შპს „სენა მატორსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

- ❖ შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ❖ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- ❖ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ❖ შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3. მარაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	1,260,002.05	1,030,927.74
ავტომობილები	1329253.14	1,094,593.81
	-	-
	-	-
	-	-
	<u>2,589,255</u>	<u>2,125,522</u>

მარაგები არ არის დატვირთული იპოთეკით. ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

კომპანიას არ მიაჩნია მოთხოვნებზე რეზერვების შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება	1,079,272	901,027
სხვა მოთხოვნა		
	<u>1,079,272</u>	<u>901,027</u>

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	52	1,075
ფული ბანკში	198,331	83,994
	<u>198,383</u>	<u>85,069</u>

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება მათ შორის:		
საგადასახადო ვალდებულება	2,232,543	678,323
	<u>17,369</u>	<u>47,854</u>
	<u>2,249,912</u>	<u>726,177</u>

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შევასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, როგორიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

კომპანია შეფასებებს აკეთებს მომავალი ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შედეგი შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი და ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისაგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

ინვენტარის გაუფასურების რეზერვი იქნება ძნელად გაყიდვადი, მოძველებული და ინვენტარის დანაკლისი არსებობის შემთხვევაში. ინვენტარის გაუფასურების რეზერვის სბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებებს მოთხოვნასა, ინვენტარის ბრუნვისა, ინვენტარის დაზიანებასა და მოპოვებაზე.

ჯგუფში საანგარიშგებო წლის დასრულების წერიოლისათვის არ ჩატარებულა მარაგების ინვენტარიზაცია.

მინა და შენობები

მინის ნაკვეთების და შენობების წარდგენილია საბალანსო ღირებულებით და კომპანიის მიერ მოხდა მისი გადაფასება.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანსაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობის რისკი.

ტრანსაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკული დოლარში თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

დირექტორი

გია

ალიხანაშვილი

